
დედამიწის დღე
არის ყოველ
დღე!

Clean Up Georgia
დავასუფთაოთ საქართველო

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი მდგრადი განვითარებისათვის „ეკოვიჟენი ”-ს მიერ პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში” ფარგლებში

პროექტი დაფინანსებულია შვედეთის საელჩოს მიერ

ლექსების და ილუსტრაციების ავტორი: ქეთევან კალაძე
კონსულტანტები: ნინო სულხანიშვილი, მადონა პირველაშვილი
რედაქტორი: ქეთევან ჟვანია
დიზაინერი: თამარ გრძელიძე

ecovision.ge

SWEDEN

www.cleanup.ge
www.ecovision.ge

დაგვეხმარეთ, გვჭირდებით,

დაგვიდექით მხარში,

ერთად დავცხოთ ნარჩენებს

მოსასპობი მარში...



თუკი ბოლოს მოვუღებთ
დაყრილ ნაგავს და ნარჩენს,
როგორ კარგად ვიქნებით,
დრო გვიჩვენებს დანარჩენს...



ნარჩენი
ჯანმრთელობისთვის
არის ძალიან მავნე,
ისევ შენ მოგიბრუნდება,
რაც კი ბუნებას ავნე.
შევამციროთ ნარჩენი,
ეს ხომ ჩვენი ვალია,
გარემო, რომ ბინძურია,
ეს სულ ჩვენი ბრალია!



ნარჩენები ძალიან
აბინძურებს ბუნებას,
ავად ხდის და უფუჭებს
განწყობას და გუნებას...





თუ გაწუხებს ნაგავი
და ბინძური ბუნება
სხვისგან შველას ნუ ითხოვ,
კაცია და გუნება...
ზოგს საერთოდ არ ადარდებს,
არ აწუხებს ნარჩენი,
შენ დაიწყე დალაგება,
ნუ დაუცდი დარჩენილს...



შენი საქმით დაანახე
სისუფთავის ფასი,
დღეს თუ მარტო ასუფთავებ,
ხვალ იქნებით ასნი...
ჰოდა ასე ნელა-ნელა,
ნაბიჯ-ნაბიჯ ივლით,
გარემოსთვის, რომელიც
უანგაროდ გივლით...





ჩვენ გვაბარია გარემო,
ჩვენი ვალია მოვლა,
მოდი, ახლავე დავიწყოთ
არ ღირს შორიდან მოვლა!



შემოგვიერდით ყველა,
რომ შევამციროთ ნარჩენი,
დაგვიბინძურდა გარემო
და გახდა ჩვენი სარჩენი.
შემოგვიერთდით, ნარჩენებს
ვებრძოლოთ ერთად ყველამ,
მხარში დავუდგეთ გარემოს
ახლა სჭირდება შველა!



ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ
და ვისწავლოთ სიარული,
სულს მოითქვამს დედამიწა
და იქნება მხიარული...
ასე უფრო ხალისით
გააგრძელებს ზრუნვას,
თუკი იგრძნობს ჩვენგან,
სიყვარულს და ზრუნვას.




თავს ცუდად
ვგრძნობ, მიშველეთ!
გავხდი
გადასარჩენი,
მე რომ ასე
მანადგურებს,
იმას ჰქვია
ნარჩენი!

# ნარჩენების


არ ვიშლები 1 თვე!
არ ვიშლები 2 თვე!
არ ვიშლები 5-10 წელი!
არ ვიშლები 450 წელი!
სახიფათო ვარ!
არ ვიშლები 200-500 წელი!

# მიტინგი


გადაგვამუშავეთ!
გამოგვიყენეთ!
სასარგებლო ვარ!
ნუ გადამაგდებთ,
გამოყენებადი ვარ!

დავიღალეთ, მოგვწყინდა,
სულ ტყუილად
ვარსებობთ,
მოუფრთხილდით იმას,
რითაც,
სუნთქავთ, ცოცხლობთ,
არსებობთ...



ნაგავი უნდა ეგდოს ურნაში,
ეს ხომ არ არის ასეთი
რთული,
თუ ვერ შევიგნეთ ეს
სიმარტივე,
მაშინ შედეგი გვექნება
ნული!





დაბინძურდა მიწა,
დაბინძურდა წყალი,
შევამციროთ ნარჩენი,
მოვიხადოთ ვალი...




ახლა კიდევ ერთად
ვიმეორებთ ყველა,
დაბინძურდა გარემო
და სჭირდება შველა!
საშიშია ნარჩენი,
იცით ყველამ რატომ,
სხვებსაც გააგებინე
ან იზრუნე მარტომ!

ათმა კაცმაც, რომ
დავიწყოთ
შემცირება ნარჩენის,
დამიჯერეთ ძალიან ბევრს
რომ შერცხვება დარჩენის,
ჩვენთან ერთად
წამოვლენ,
ერთად ერთი საქმისთვის,
იმედია, რომ ყველას
დრო გვექნება
ამისთვის.





თუ გინდა დასუფთავება
და თუ გაწუხებს ეს,
თუ გული გწყდება, როდესაც
ხედავ ჩამომხმარ ხეს...
თუ გინდა სუფთა ქვეყანა,
სუფთა წყალი და მთა-ბარი,
თუკი მიხვდი, რომ ბუნება
არის ყველაზე მთავარი,
არ შეგაშინოს იმან
თუკი თავს იგრძნობ მარტო,
დაიწყე დასუფთავება,
სხვებსაც უთხარი რატომ...

თუკი ყველას ეზარება,
მაგალითი ვუჩვენოთ,
დავიჯეროთ, რომ ამას
სხვაც მიხვდება უჩვენოდ.



როცა არ უვლი გარემოს,
სიცოცხლეს უქმნი საფრთხეს,
შეიძლება ფრინველი
შეშინდეს და დაფრთხეს,

ანდა სულაც აერიოს
ნაგავი და საჭმელი,
მგონი მეტი ამაზე
აღარც არის სათქმელი...

დედამიწა ცოდოა,
შეწყვიტეს ზრუნვას უჩვენოდ,
ჩვენი ქცევით დანარჩენებს
მაგალითი ვუჩვენოთ.







კიდევ ერთხელ გავიაზროთ,
გადავავლოთ თვალი,
დედამიწის წინაშე
მოვიხადოთ ვალი...
ის ხომ ჩვენი სახლია,
ის გვკვებავს და გვარჩენს,
გავახარებთ, თუკი ერთად
შევამცირებთ ნარჩენს...




ჩვენ, ნარჩენები
და ნარჩენები...
შემოგვიერთდით
დანარჩენები!



დაიცავი
გარემო!
ნუ გახდები
დაბინძურებული
გარემოსაგან
დასაცავი!